ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს

## ფიზკულტურული სალამი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის მამაც გუშაგებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 147 (3124)

31 ივლისი, 1966 წ. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ალექსანდრე მეტრეველი — სპორტის დამსახურებული ოსტატი





# ომარ ფხაკაძე — ჩემპიონი

ამას წინათ, ევროპის ქვეყნებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა მსოფლიოს ჩემპიონი ველოსპორტში ო. ფხაკაძე. თბილისში მან მხოლოდ რამდენიმე დღე დაჰყო, მოინახულა ახლობლები, მეგობრები, ნათესავები, შემდეგ როგორც იტყვიან, ისევ აიკრა გუდა-ნაბადი და სპორტული ბრძოლის შუაგულში გადაეშვა. ამჯერად მსოფლიო ჩემპიონი ეწვია სამამულო ველოსპორტის დედაქალაქს — ტულას, სადაც სსრ კავშირის ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი მოწინავე ველოსიპედისტები.

ტულაში გამგზავრების წინ მსოფლიო ჩემპიონმა კორესპონდენტებს განუცხადა: „ჩემი უახლოესი ამოცანაა მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით მონაწილეობა. როგორც ცნობილია, ეს ტურნირი აგვისტოში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოეწყობა. მანამ კი მთავარია, კიდევ ერთხელ შევამოწმო ჩემი მზადყოფნა საკავშირო ჩემპიონატში".

და შეამოწმა კიდეც. ტულის ტრეკზე სპრინტერული რბოლის ფინალში ერთმანეთს ძველი მეტოქეები — მოსკოველი ვ. ლოგუნოვი და ო. ფხაკაძე შეხვდნენ. მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა ორივე სერიაში აშკარა იყო. მან ადვილად მოიგო რბოლები და თავის სპორტული ჯილდოების კოლექციას დაუმატა სსრ კავშირის ჩემპიონის კიდევ ერთი ოქროს მედალი. ვ. ლოგუნოვი II ადგილზე დარჩა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა რიგელ ი. ბოდნიეკსს.

ქალთა სპრინტერულ რბოლაში ჩემპიონი ალბათ მოგვიანებით გამოვლინდება, რადგან პირველი ფინალური სერიის მონაწილენი — მსოფლიო ჩემპიონი ვ. სავინა (ტულა) და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. კირიჩენკო (ხარკოვი) დაშავდნენ. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ბრინჯაოს მედალოსნის ვინაობა. ეს ჯილდო მოიპოვა ხარკოველმა ა. ბაგიანცმა.

ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია 20 წლის ტულელმა პედაგოგმა თ. გარკუშინამ. ველოსპორტში იგი სულ 1 წელია რაც მეცადინეობს. გარკუშინამ ჩემპიონატი დაიწყო როგორც სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, ხოლო დაამთავრა საერთაშორისო ოსტატის რანგით. 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლის ფინალში მან დაამარცხა გამოცდილი ა. პურონენი (მოსკოვის ოლქი) და ოქროს მედალი მიიღო. III ადგილზე გამოვიდა ხარკოველი ლ. ზადოროჟნაია.

* * *

სურათზე: ომარ ფხაკაძე.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ყოველი შეჯიბრება სპორტული ოსტატობის სკოლაა. ალექსანდრე მეტრეველს ოსტატობა არ აკლია, მაგრამ წელს მან მართლაც კარგი სკოლა გაიარა და საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილება მიიღო. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ წლევანდელ სეზონში ჩვენმა ჩოგბურთელმა შეჯიბრებათა სარეკორდო რაოდენობაში მიიღო მონაწილეობა.

საჰაერო ხომალდებს, მატარებლებს, ავტობუსებს იგი ევროპის ერთი ქალაქიდან მეორეში გადაჰყავდა. ალექსანდრე სხვადასხვა ხასიათისა და სტილის მეტოქეებს ხვდებოდა, ზოგს ამარცხებდა, ზოგთან აგებდა, მაგრამ დამარცხებასაც მისთვის გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა.

მსოფლიო საჩოგბურთო წრეებში ა. მეტრეველს იცნობენ, როგორც უაღრესად ნიჭიერ და თავისებური სტილის ჩოგბურთელს. ქართველ ოსტატს აქებდნენ ლონდონში, პარიზში, კაიროში, პრაღაში, ბუდაპეშტში, ყველგან, სადაც ეს ათლეტური თამაში პატივისცემაშია. აქებდნენ და ელოდნენ კიდევ უფრო დიდ მიღწევებს, უფრო საპატიო გამარჯვებას.

ამ მოლოდინში ისინი არ მოტყუვდნენ. თავისი ხანგრძლივი ტურნე ევროპაში მან ისეთი ტრიუმფით დაამთავრა, როგორისთვისაც არც ერთ საბჭოთა ჩოგბურთელს არ მიუღწევია. ჩვენმა თანამემამულემ ბრწყინვალე სტილში მოიგო სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. მთავარია ამ გამარჯვების ხარისხი. ფინალში ალექსანდრე მეტრეველმა დაამარცხა უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი, ესპანელი მანუელ სანტანა, ფაქტიურად მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი. აი ეს კი გამარჯვებაა.

საკავშირო სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ახალგაზრდა ჩოგბურთელის წარმატებები ღირსეულად დააფასა. მას მიენიჭა ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სპორტული წოდება. ამიერიდან ა. მეტრეველი სპორტის დამსახურებული ოსტატია. სხვათა შორის, საბჭოთა ჩოგბურთში ასეთი მაღალი ტიტული მეტრეველის ასაკში არავის მიკუთვნებია. სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა არ დაივიწყა არც ნიჭიერი სპორტსმენის აღმზრდელი ა. ხანგულიანი, რომელსაც მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ალექსანდრე მეტრეველს მომავალი წინ აქვს. მას ჯერ კიდევ არ უთქვია საბოლოო სიტყვა დიდი ჩოგბურთის ასპარეზზე. იმედია, რომ ნიჭიერი სპორტსმენი და მისი აღმზრდელი კიდევ ბევრი სასახელო გამარჯვებებით გაგვახარებენ.

სურათზე: ა. მეტრეველი.

ფოტო ი. იუნაევისა.




## VIII მსოფლიო პირველობა

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი

მსოფლიოს VIII ჩემპიონატი ფეხბურთში დამთავრდა. დამთავრდა იგი ინგლისის ნაკრების გამარჯვებით. პირველობის მასპინძლებმა ანგარიშით 4:2 დაამარცხეს გფრ-ის გუნდი. გერმანელმა ფეხბურთელებმა დაიკავეს II ადგილი, პორტუგალიელებმა—III, სსრ კავშირის ეროვნულმა ნაკრებმა—IV.

# ცნობები მინსკიდან

მინსკი, 29 ივლისი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს „დინამოს" სტადიონზე მოეწყო უნივერსიადის საზეიმო გახსნა. გაიმართა ტანვარჯიშული გამოსვლები, შემდეგ კი სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაგრძელდა დაძაბული ბრძოლები.

ფარიკაობაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები. ესპადრონით მოფარიკავეთა შორის ოქროს მედალი მოიხვეჭა ნ. ასათიანმა. მან ასპარეზობა დაუმარცხებლად დაამთავრა. რაპირისტ ქალებში მ. კოხრეიძემ „ბრინჯაო" დაისაკუთრა.

50 მ მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში ო. კვირიკაშვილმა 550 ქულა დააგროვა და გამარჯვებულს 1 ქულით ჩამორჩა. ქართველი სპორტსმენი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. V ადგილზეა ჩვენი რესპუბლიკის მსროლელი მ. ჟამურაშვილია (540 ქულა). ქალთა შორის მ. ლვინერია 260 ქულით III ადგილზეა, ხოლო 255 ქულით ტ. კაზონნიძე — V. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მ წოლელა სროლაში ქალებში უძლიერესი იყო ს. ზასკო (საქართველო) — 583 ქულა.

ჭადრაკში გადადებული პარტიების დამთავრებამ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს გამარჯვება მოუტანა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის კოლექტივთან—5:1. უკანასკნელი ტურის წინ ჩვენებს 24 ქულა აქვთ, ხოლო ბოლო ტურში ჩვენს მეტოქეებს, მოსკოვის უნივერსიტეტის მოჭადრაკეებს — 23. ასე რომ, მათთან შეხვედრაში ფრეც (3:3) ხელს გვაძლევს. ყოველ შემთხვევაში, II ადგილი განაღდებულია.

კრივში ჩვენი რესპუბლიკის 4 სპორტსმენმა III ადგილები დაიკავეს: რ. აკოპოვმა (II საშუალო წონა) ნახევარფინალში წააგო მოსკოველ ვ. ევსტიგნეევთან. რ. მუკოიანმა (ქვემსუბუქი) უკრაინელ ს. ტრესტინთან, მ. მარქარიანმა (მსუბუქი) — ბ. მალიშევთან (რსფსრ). ჯ. კვანტალიანმა ადრე გაინაღდა III ადგილი. 2 ქართველი მოკრივე ფინალში იბრძოლებს. ესენია ვ. ცერცვაძე (I ქვესაშუალო) და მ. მამამთავრიშვილი (I საშუალო). ფინალში პირველი ი. შმაკალოვე (მოსკოვი) ხვდება, მეორე — ბ. ზვიაგინცევს (ბელორუსია).

ფრენბურთულ ქალთა ასპარეზობაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა წააგეს ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტთან — 1:3, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელმა ვაჟებმა — ტულის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან — 0:3.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელბურთელებმა (იგივე „ბურევესტნიკი") სვერდლოვსკის ზონაში II ადგილი დაიკავეს და ფინალში წაგებით შევიდნენ (გუნდს აკლია აბაიშვილი, ცერცვაძე, ფხაკაძე, ექსეულიძე, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებში პოლონეთს გამოდიან. ისინი გუნდს 1 აგვისტოს შეუერთდებიან). ამიტომ თბილისელები ალმა-ათის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ — 22:22 (12:11).

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელმა ვაჟებმა მოუგეს მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტსმენებს — 64:50. ამავე ინსტიტუტის ქალებმა დაამარცხეს (უკვე მერამდენედ!) რიგის ტპტ-ის კალათბურთელები — 40:38.

დღეს პირველი სტარტები აიღეს მძლეოსნებმა.

ჯ. ენუქიძე.

# ზუგდიდის სპორტული ზაფხული

ზუგდიდის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ძველ ქართულ სამოსში გამოწყობილ კაცს. მას თითქმის ყველა იცნობს, კალისტრატე ჯალაღონიამ 90 წელს გადააბიჯა, მაგრამ წელთა სიმრავლე მაინც არ ეტყობა, მით უმეტეს, თავის ცხენზე — „ალიაზე" რომ ამხედრდება. კალისტრატე ახლაც ხშირად მონაწილეობს სპორტულ დღესასწაულებში.

სწორედ მან მიამბო, რომ ძველად სამეგრელოში დღესასწაული ისე არ ჩაივლიდა, რომ სპორტული შეჯიბრება არ გამართულიყო.

მეგრელ ცხენოსნებს წარსულში არაერთხელ უსახელებიათ თავი საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა თუ ამერიკაში. თუ ზუგდიდის კულტურისა და დასვენების პარკში მოხვდით, ადგილობრივი მცხოვრებლები უთუოდ გიჩვენებენ ვეებერთელა ხეს, კენწეროები ცისთვის რომ მიუბჯენია. ეს არის ჩრდილოეთის სექვოია, იშვიათი ხე. გადმოცემით იგი პრიზად მიუღიათ ამერიკაში მეგრელ ცხენოსნებს. ერთ-ერთი შეჯიბრებისას ველურ მუსტანგებზე ამხედრებული მექსიკელებიც კი დაამარცხეს თურმე, ნერგი დაისაკუთრეს, ატლანტიკის ოკეანე გადმოატარეს და ამ ბაღში დარგეს ბინა.

რატომ მოვყევით ასე შორიდან? სპორტი უძველესი დროიდან მოსდგამს ტრადიციად სამეგრელოს და კერძოდ, ზუგდიდს. მაგრამ ნამდვილი სპორტული გაზაფხული ჩვენს რაიონში ოქტომბრის მზემ მოიტანა. გადავხედოთ არქივებს. 1922 წელს ზუგდიდში ახალი სენაკის სპორტსაზოგადოება „შევარდენმა" მოაწყო საჩვენებელი გამოსვლები ტანვარჯიშში, ხოლო 1924 წელს დაარსდა ტანმოვარჯიშეთა სპორტსაზოგადოება „სპარტაკი". მისი თაოსნები კომკავშირის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი პ. კობახიძე და სამაზრო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე გრ. როგავა იყვნენ.

შემდეგ, ტანვარჯიშს სპორტის სხვა სახეობებიც მოჰყვა. იმ დროიდან ზუგდიდს კარგი სპორტსმენები არ მოჰკლებია. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც პირველი ქართველი მფრინავი ქალი რ. ჟორდანია, ნ. გაფრინდაშვილი და სხვები, ქალაქს ჰყავს „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდიც.

„ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ ზუგდიდელმა მხედრებმა საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს თბილისში რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. საქართველოს ნაკრების წევრები შ. გულორდავა, ა. კრაინენკო, ა. შონია, დ. მალანია ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან, სადაც მალე დაიწყება ცხენოსანთა საკავშირო ასპარეზობა. შემდეგ კოსტრომა — სოფლის ცხენოსანთა საკავშირო პირველობა.

რაკი სიტყვა ცხენოსნობაზე მიდგა, არ შეიძლება არ ვახსენოთ ამ სახეობის დიდი ქომაგი, ზუგდიდის ცხენოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე და საქართველოს ამ სახეობისავე ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა. ხეცერას ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომლის დირექტორადაც იგი მუშაობს, მარტო შრომით როდია მოწინავე. აქ ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, ფრენბურთის, ჭიდაობისა და სხვა სექციები. ტრადიციად იქცა ყოველწლიური სპორტული დღესასწაულები.

ზუგდიდელ სპორტსმენთა ყველა წარმატების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. შეიძლება ორიოდე სიტყვითაც ვთქვათ, რომ მათ გადაჭარბებით შეასრულეს თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების ნახევარი წლის გეგმა. ამჟამად რაიონში 13 სპორტის ოსტატი, 182 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 295 — მეორე, 1504 — მესამეთანრიგოსანი, 1352 მშთ და იმშთ ნიშნოსანია. უთუოდ დიდი მომავალი აქვს ველოსპორტში ზუგდიდელ ჭაბუკს, საქართველოსა და სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო ნაკრების წევრს ღ. შონიას, რომელიც ომარ ფხაკაძის მეთვალყურეობით გადის წვრთნას.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრია ა. ჩქოტუა, რომელმაც II ადგილი მოიპოვა რესპუბლიკურ ასპარეზობაში. ნაკრებში შეიყვანეს ნ. გარდავაც.

წლევანდელ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილები მოიპოვეს ზუგდიდელმა მძლეოსნებმა, ტანმოვარჯიშეებმა, ველოსიპედისტებმა, ცხენოსნებმა. მათვე მესამე ადგილი დაისაკუთრეს „პრავდის" პრიზისთვის გამართულ ასპარეზობაში. ამ წარმატებას ბევრით განაპირობებს მწვრთნელთა კარგი მუშაობა. დავასახელებთ მათგან რამდენიმე საუკეთესოს — ვ. ხაბაიშვილი, კ. შენგელია, ფ. თოდუა, გ. ქაძანაია და სხვ.

საქმეში ჩახედული კაცი გვერდს ვერ აუვლის საჭადრაკო კლუბის საქმიანობას. უთუოდ აღნიშვნის ღირსია კლუბის გამგის ნ. შოგირაძისა და მწვრთნელ რ. კიკიანის მუყაითი მუშაობა.

ამჟამად ზუგდიდში მიმდინარეობს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი IV სპარტაკიადა, რომელმაც უკვე გამოავლინა ბევრი კარგი სპორტსმენი.

და კიდევ ერთი სიახლე: რუხის „საქართველოს" კოლმეურნეობის მშრომელებმა ახლახან პირველი ბავშვთა სპორტული სკოლის დაარსება იზეიმეს. როგორც სკოლის დირექტორმა, წარსულში საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა მ. გარდავამ გვიამბო, აქ ჩამოყალიბდა ათი სასწავლო ჯგუფი, რომელთაც ხუთი მწვრთნელი გაუწევს ხელმძღვანელობას. მეცადინეობაში ჩაებმება 200-300 ბავშვი. სპორტული სკოლა სისტემატურად ჩაატარებს საწარმოო ტანვარჯიშს მეჩაიე ქალებისთვის. ასეთივე სკოლა იანვრიდან გაიხსნება ზემო ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთ დიდ და მზარდ ქალაქში, როგორიც ზუგდიდია, დღემდე არ არის საცურაო აუზი. ჭიანურდება სარბენი ბილიკების კეთილმოწყობა სტადიონზე.

ე. ჩიქავა.

ერთი სიტყვით, ზუგდიდელები ტრადიციებს არ ღალატობენ. რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის კ. ხორავას სამუშაო ოთახში რომ შეხვალთ, თვალში, პირველ ყოვლისა, მოგხვდებათ გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც რაიონს შარშანდელი სპორტული წარმატებებისთვის გადაეცა.

წლეულს?

ტყიბულის საცურაო აუზში ორ დღეს გასტანა საქართველოსა და უზბეკეთის წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდების ასპარეზობამ. უზბეკეთის ნაკრებში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი რ. გოროხოვსკაია, სპორტის ოსტატი მ. გელმანოვი და სხვა ცნობილი ოსტატები გამოდიოდნენ. საქართველოს სპორტსმენებმა ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს სტუმრებს. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის პირველობა არავის დაუთმო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ა. კალიაგინამ (თქვენ მას ხედავთ სურათზე), II ადგილზეა რ. გოროხოვსკაია, ხოლო III — საქართველოს გუნდის წევრი ნ. ცოცხალაშვილი. ვაჟები კოშკიდან ხტომაში ასპარეზობდნენ.



ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ბ. პოლულიახი II ადგილს დასჯერდა.

შეხვედრას სჯიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. გაიკაური.

რ. ფერაძე.

# სახელოვანი 10 წლისთავი

მოსკოვის სპორტულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის — მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ნაგებობის 10 წლისთავი.

ახლა სტადიონზე შეიძლება ჩატარდეს შეჯიბრებები სპორტის 31 სახეობაში. სტადიონის ყველა ტრიბუნა ერთდროულად იტევს 150 ათას ადამიანს. 10 წლის განმავლობაში 75 მილიონმა მაყურებელმა ნახა მსოფლიოს 11 და ევროპის 4 ჩემპიონატი, 1957 წლის მსოფლიოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალი, სსრ კავშირის ხალხთა 3 სპარტაკიადა, სსრ კავშირის ჩემპიონატები სპორტის 19 სახეობაში.

ამას გარდა, გამართულია საწარმოთა, დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივთა 12 ათასი შეჯიბრება.

„ჯანმრთელობის ქალაქში" მუდმივად ვარჯიშობს 400 ფიზკულტურული კოლექტივის 25 ათასამდე მოსკოველი. განსაკუთრებით პოპულარულია საერთო-ფიზიკური მომზადების ჯგუფები, რომლებიც პირველად 1958 წელს შეუდგნენ მუშაობას.

ყველა ეს ციფრი მოიყვანა თავის მოხსენებაში სტადიონის დირექტორმა მ. ბორისოვმა საზეიმო საიუბილეო საღამოზე, რომელიც 29 ივლისს გაიმართა. კოლექტივს 10 წელი მიულოცეს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სპორტსმენებმა, ლუჟნიკის სპორტული ბაზების მშენებლებმა.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. მაშინმა სტადიონის კოლექტივს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და ცენტრალური სპორტკავშირის საპატიო სიგელი, რომლებითაც დაჯილდოებულია ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი სსრ კავშირის სტადიონების დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებისთვის.

# I — ინგლისი

## ოქროს მედლების მფლობელი.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): დგანან — მწვრთნელი ჯეფერსონი, კოხელი, პიტერსი, ჰერსტი, სპრინჯეტი, ბენქსი, ჯ. ჩარლტონი, ჰანტერი, ისტჰემი, უილსონი, ბონეტი, ბოლი; სხედან — ბ. ჩარლტონი, პეინი, გრივსი, არმფილდი, მური, სტაილზი, კალაჰანი.

ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე: კოენი, ბირნი, ფლაუერსი, ჰანტი.

გუნდის უფროსი მწვრთნელი — ა. რამსეი.

# II — გფრ

## მოოქრული მედლების მფლობელი.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ზეელერი, ბერნარდი, ლორენცი, ბეკენბაუერი, შულცი, ემერიჰი, ვებერი, ჰელდი, ოვერატი, ჰიოტგესი, ბრიულსი.

ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე: ტილკოვსკი, ზნელინგერი, ჰალერი, ჰორნიგი, ლუტცი, პატცკე, პაული, ზილოფი, კრემერი, გრაბოვსკი, მაიერი.

გუნდის უფროსი მწვრთნელი — ჰ. შიონი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი



## ოქროს ქალღმერთი — ფეხბურთის სამშობლოს

ლ ო ნ დ ო ნ ი, 30 ივლისი. ფეხბურთში მსოფლიოს VIII ჩემპიონატის დასკვნით, ფინალურ მატჩს ინგლისის დედაქალაქი ძალზე ცუდი ამინდით შეხვდა. სწორედ მატჩის დაწყების წინ წამოვიდა ძლიერი, ხანგრძლივი წვიმა, რომელსაც „უემბლის" სტადიონის შესანიშნავმა გაზონმაც კი ვერ გაუძლო. მატჩის დაწყებიდან გასული იყო ათიოდე წუთი და მინდორი უკვე ატალახდა, მოთამაშეებს უჭირდათ მთელი თავიანთი ოსტატობის ჩვენება.

მიუხედავად ამისა, ეს იყო ნამდვილი დიდი ფინალი. თანაბარი სიძლიერისა და უმაღლესი კლასის მოწინააღმდეგეების შეუპოვარი ბრძოლა, ბრძოლა, რომელმაც გამარჯვებული გამოავლინა მხოლოდ დამატებითი დროის, 120 წუთის შემდეგ.

შვეიცარიელმა მსაჯმა გ. დინსტმა, რომელსაც ეხმარებოდნენ ტ. ბახრამოვი (სსრ კავშირი) და კ. გალბა (ჩეხოსლოვაკია) გამოიყვანა მინდორზე ფინალური მატჩის მონაწილენი — ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. აი მათი შემადგენლობანი: ი ნ გ ლ ი ს ი — ბენქსი, კოენი, ჯ. ჩარლტონი, მური, უილსონი, სტაილზი, პიტერსი, ბოლი, ჰერსტი, ბ. ჩარლტონი, ჰანტი; გ ფ რ — ტილკოვსკი, ჰიოტგესი, შულცი, ვებერი, შნელინგერი, ჰალერი, ბეკენბაუერი, ოვერატი, ზეელერი, ჰელდი, ემერიხი.

ორივე გუნდი იმ სისტემით თამაშობდა, რომელიც ასე „მოდაში" იყო განვლილი ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებში (4—3—3), მაგრამ იგი არც ინგლისელების, არც გერმანელებისთვის არ წარმოადგენდა საფუძველს დაცვითი ტენდენციებისა და „ბეტონისთვის". პირიქით, მეტად აქტიური ნახევარმცველები განუწყვეტლივ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, ხშირად მონაწილეობდნენ იერიშებში და მეკარეებს ბენქსსა და ტილკოვსკის სამუშაო არ მოკლებიათ ორხივე ტაიმის მანძილზე. მაყურებელი ხმაურით ადევნებდა თვალს მინდორზე გაჩაღებულ უკიდურესად მძაფრ, საინტერესო ბრძოლას.

ანგარიში გაიხსნა მე-12 წუთზე. ჰალერმა ძნელი მდგომარეობიდან მოულოდნელად დაარტყა კარში. ბენქსმა წამით დააგვიანა და იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა ბურთი — 1:0.

მაგრამ გერმანელებმა ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ეს მეტად მნიშვნელოვანი წარმატება. გავიდა რამდენიმე წუთი და მათ კართან მოწოდებულ ბურთზე შეფერხდნენ როგორც მცველები, ისე ტილკოვსკიც. ჰერსტმა კი ამ მომენტში ზუსტად ითამაშა თავით — 1:1.

საერთო ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ძირითადად ინგლისელებს ჰქონდათ. მათ მოწინააღმდეგენი პასუხობდნენ ზეელერის, ჰალერის, ბეკენბაუერის ეპიზოდური, მაგრამ ძალზე სახიფათო კონტრშეტევებით. ტაიმს ცვლილება არ შეუტანია ანგარიშში.

მეორე ტაიმში ინგლისელები წინ გავიდნენ პიტერსის მიერ გატანილი ბურთის წყალობით და გუნდი ამ ანგარიშს — 2:1 ინარჩუნებდა ბოლო, 90-ე წუთამდე. მათი გამარჯვება თითქოს უკვე გარანტირებული იყო, როცა ვებერმა მეორე გოლი გაიტანა და გაათანაბრა მდგომარეობა — 2:2.

საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. მე-12 წუთზე გფრ-ის დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა, რის შედეგადაც ჰერსტმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 3:2. მატჩის ბოლო წამებზე იმავე ჰერსტმა გარღვევა შეასრულა მარცხენა ფლანგზე, რომელიც უძლიერესი დარტყმით დაამთავრა მარცხენა კუთხეში — 4:2. ინგლისელი ფეხბურთელები არ მალავენ თავიანთ სიხარულს, 100-ათასიანი მაყურებლის ტაშის გრიალში ისინი ეხვევიან, კოცნიან ერთმანეთს: ჟიულ რიმეს პრიზი, ოქროს ქალღმერთის თასი მათ ხელთაა. ფეხბურთის სამშობლომ პირველად მიიღო ეს უმაღლესი ჯილდო.

მატჩის დამთავრების შემდეგ ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II სამეფო ლოჟაში გადასცა ქალღმერთის თასი და ოქროს მედლები ინგლისელ ფეხბურთელებს, ხოლო მოთქროვილი მედლები — გერმანელ სპორტსმენებს.

პორტუგალიის ნაკრებს წილად ხვდა ვერცხლის მედლები, სსრ კავშირისას — ბრინჯაოსი.

ჟიულ რიმეს თასის VIII გათამაშება დასრულდა.



მას იცნობენ ყველგან, მთელი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში. გამოჩენილმა საბჭოთა მეკარემ ლ. იაშინმა დამსახურებულად მოიპოვა აღიარება საერთაშორისო სპორტულ წრეებში. მატჩები მისი მონაწილეობით საყოველთაო აღტაცებას იწვევს მაყურებელთა შორის.

ლ. იაშინი საკმაოდ ხანდაზმული ასაკისაა მეკარისთვის (37 წელი), მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავინდებურად საუკეთესო ფორმაშია და მაღალი კლასის, სტაბილურ თამაშს აჩვენებს.

თავისი ვირტუოზული ხელოვნება ლ. იაშინმა აჩვენა მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატშიც. მან ბრწყინვალედ ჩაატარა უძნელესი მატჩები ძლიერ მოწინააღმდეგეებთან და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის № 1 მეკარეს წარმოადგენს.

## ფინალის ირგვლივ

● **გუშინდელმა** ფინალურმა მატჩმა ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის მოიტანა სარეკორდო შემოსავალი — დაახლოებით 200 ათასი გირვანქა სტერლინგი. მანამდე ყველაზე დიდი შემოსავალი ფიქსირებული იყო 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოში — 147.700 გირვანქა სტერლინგი.

● **საერთო** შემოსავალი (ბილეთების გაყიდვა, მატჩების ჩვენება ტელევიზიით, რეკლამა, სუვენირები და ა. შ.) შეადგენს დაახლოებით 2 მილიონ გირვანქას. აქედან 1 მილიონი შევა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სეიფში, რომელსაც საერთო ხარჯების გასტუმრების შემდეგ მოგება დარჩება 0,5 მილიონი. ეს ყველაზე შემოსავლიანი ჩემპიონატია გათამაშების ისტორიაში.

● **400 მილიონი** მაყურებელი ადევნებდა თვალს ფინალურ მატჩს ტელევიზიით. გადაცემა წარმოებდა 26 ენაზე. საერთოდ, ჩემპიონატების მატჩებს გადასცემდნენ კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატს საერთო ჯამში ჰყავდა 2 მილიარდამდე მაყურებელი.

## სამხრეთ ამერიკა გოგოქროზს

მსოფლიო პირველობათა გათამაშების ისტორიაში პირველი ადგილი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებს მოგებული ჰქონდათ 4-ჯერ, ხოლო ევროპის ქვეყნებს — 3-ჯერ. ახლა ანგარიში გათანაბრდა — 4:4.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციები ძალზე უკმაყოფილონი არიან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობით და მიაჩნიათ, რომ ევროპელებმა ისინი დაჩაგრეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ არგენტინამ და ურუგვაიმ წინადადება წამოაყენეს გაუქმდეს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები და მის საწინააღმდეგოდ ჩატარდეს ჟიულ რიმეს თასის გათამაშება საკუთრივ სამხრეთ ამერიკაში.

9 სექტემბრისთვის ბუენოს-აირესში დანიშნულია სამხრეთ ამერიკის ფედერაციის სპეციალური კონგრესი, რომელმაც უნდა განიხილოს მხოლოდ ერთი საკითხი: „ჩვენი სიძნელეები მსოფლიო ჩემპიონატში".

## არგენტინელი ჟურნალისტის რეკორდი

განუმეორებელი რეკორდი ჟურნალისტთა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე დაამყარა არგენტინელმა რეპორტიორმა არდიცონემ. იგი გამოცხადდა ლონდონის ტელეგრაფში საიმისოდ, რათა, როგორც თვითონ განუცხადა ტელეგრაფისტ ქალს, პატარა დეპეშა გადაეცა, მაგრამ ტელეგრაფისტი სულ უფრო და უფრო განცვიფრებაში მოდიოდა, როცა ჟურნალისტი მას ერთიმეორეზე აწვდიდა ნაწერ ფურცლებს. საქმე იმაშია, რომ დეპეშა შედგებოდა 20.246 ციფრისგან. ტექსტის შემცველი ლენტი 7 მეტრს უდრიდა, ხოლო გადაცემა გაგრძელდა ზუსტად 5 საათსა და 40 წუთს. ერთადერთი, რამაც დააშოშმინა ტელეგრაფისტი ქალი, იყო ის, რომ ორიგინალურმა კლიენტმა ერთბაშად გადაიხადა დაახლოებით 1000 დოლარი.

გვრჩება დავუმატოთ ის, რომ როცა არდიცონეს კითხეს, თუ რა სენსაციურმა ფაქტებმა გამოიწვიეს ესოდენ დიდი ხარჯი, მან უპასუხა: „საქმე ფაქტებში არაა. მე გადავეცი საკუთარი აზრები. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ლათინური ამერიკის ფეხბურთის განვითარებისთვის, რომელმაც კრახი განიცადა ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატში".

## ა. შანადის წინადადება

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ა. შანადიმ გააკრიტიკა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების სისტემა. მისი აზრით, ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთი მატჩის შედეგს, ეს კი არაა მართებული ისეთი მასშტაბის შეჯიბრებისთვის, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატი.

ა. შანადის აზრით, ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი უნდა გათამაშდეს წრიული სისტემით. გარდა ამისა, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია ის ამბავი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში არ შეიძლება დაშავებული მოთამაშის შეცვლა (მეკარისაც კი). ერთი სიტყვით, უნგრელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ბევრი აქტუალური საკითხი აქვს გადასაწყვეტი.

## IV — სსრ კავშირი



### ბრინჯაოს მედლების მფლობელი.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველ რიგში — სერებრიანიკოვი, მალოფეევი, ბანიშევსკი, საბო, პონომარიოვი; მეორე რიგში — მეტრეველი, ვორონინი, კავაზაშვილი, დანილოვი, შესტერნიოვი, ჩისლენკო.

ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე: იაშინი, ოსტროვსკი, აფონინი, ხურცილავა, გეტმანოვი, კორნეევი, სიჩინავა, ჰუსაინოვი, პარკუიანი, მარქაროვი, ბანიკოვი.

გუნდის უფროსი მწვრთნელი — ნ. მოროზოვი.



## III — პორტუგალია

### ვერცხლის მედლების მფლობელი.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): ჟერმანო, აუგუსტო, გრასა, ტორესი, ფესტა, ეუსებიო, კარლოსი, სიმოესი, კოლუნა, ხ. პერეირა, ჰილარიო.

ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე: ამერიკო, კარვალიო, ვისენტე, პერესი, ფიგუეირედო, ლოურენსო, კრუზი, დუარტე, მორაისი, პინტო, ბატისტე.

გუნდის უფროსი მწვრთნელი — ო. გლორია.



## ფეხბურთი

### მატჩები, გოლები, რეკორდები

დამთავრდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. გათამაშების 19 მონაწილე ზუსტად ტურნირის ეკვატორზეა.

I წრის ბოლო ტურის მატჩები გაიხსნა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ოდესის არმიელთა გუნდის შეხვედრით. გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ — 2:0 (ბურთები გაიტანეს კოზლოვმა და სოკოლუხინმა).

6-ჯერ იქნა კარი აღებული მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-ს მატჩში. დინამოელებმა გაიტანეს მხოლოდ 2 გოლი (ავრუცკი), ხოლო არმიელებმა — 4 (3 კაზაკოვმა და ფედოტოვმა).

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს „ნეფტიანიკს“ აკლდა ძირითადი შემადგენლობის 6 მოთამაშე, მან საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“. ორივე გოლის ავტორია ტუაევი.

ლენინგრადის „ზენიტისა“ და როსტოვის არმიელთა გუნდის შეხვედრის ბედი გადაწყვიტა როსტოველთა თავდამსხმელის ესკოვის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა. მინსკის დინამოელებმა საკუთარ მინდორზე წააგეს მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან“ — 1:2. მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს იანიშევსკიმ და ოსიანინმა, დინამოელთაგან — მუსტიგინმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მასპინძლებმა ამ მატჩში ვერ გამოიყენეს პენალტი.

დაბოლოს. ლიდერის მატჩის შესახებ. კიევის დინამოელებმა დონეცკში დაამარცხეს ადგილობრივი „შახტიორი“ — 2:0 (მუნტიანი, ბიბა).

პირველი წრის შემდეგ ჩემპიონატის ერთპიროვნული სნაიპერია ბ. კაზაკოვი (ცსკა), რომლის ანგარიშზეა 12 გატანილი გოლი. ი. ავრუცკიმ („დინამო“, მოსკოვი) გაიტანა 10 ბურთი, ა. ბიშოვეცმა („დინამო“, კიევი) — 9.

ქუთაისის „ტორპედოს“ ყველაზე შედეგიანი ფორვარდია გ. ნოდია — 7 ბურთი, თბილისის „დინამოსი“ — ი. დათუნაშვილი (6 ბურთი).

კიევის „დინამო“ ჩემპიონატის ნამდვილი ლიდერია თითქმის ყველა მაჩვენებლით. მან მოიგო ყველაზე მეტი მატჩი (13), არ წაუგია არც ერთი (ტაშკენტის „პახტაკორთან“ ერთად) და გაუშვა ყველაზე ნაკლები ბურთი — 5. ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავს მოსკოვის არმიელთა გუნდს, რომლის ანგარიშზეა 40 გატანილი ბურთი.

ყველაზე ნაკლები გამარჯვება მოიპოვეს ოდესის არმიელებმა (1), მათვე გაიტანეს ბურთების ყველაზე მცირე რაოდენობა (9) და გაუშვეს ყველაზე მეტი გოლი (30). ყველაზე მეტი მატჩი წააგო მოსკოვის „ლოკომოტივმა“ (13).

ტაშკენტის „პახტაკორი“ თავისებურ „რეკორდსმენს“ წარმოადგენს ფრედ დამთავრებული მატჩების მიხედვით (11). დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მატჩი მოიგეს კიევის დინამოელებმა — 5.

### „ა“ კლასი I ჯგუფი

### „ა“ კლასი II ჯგუფი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის.

ტალინში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და თბილისის „ლოკომოტივი“. მატჩი დამთავრდა ტალინელთა სასარგებლოდ ანგარიშით 1:0.

მოგვყავს სხვა შეხვედრათა შედეგები: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „თერგი“ (გროზნო) 2:1, „ბალტიკა“ (კალინინგრადი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:2, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 2:2, „რუბინი“ (ყაზანი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:0.

## სსრ კავშირის პირველობა

### „ბ“ კლასი IV ზონა

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში გაიმართა მეორე წრის პირველი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

#### ზუგდიდიდან...

ადგილობრივი „ენგურისა“ და ორჯონიკიძის „სპარტაკის“ მატჩის დასაწყისი ურთიერთდაზვერვის ხასიათს ატარებდა. შემდეგ სტუმრებმა მოულოდნელი, სწრაფი შეტევა განახორციელეს და ნერსესიანმა გახსნა ანგარიში — 1:0. ეს მოხდა მე-7 წუთზე.

ზუგდიდელებმა მარცხს ხანგრძლივი იერიშით უპასუხეს. 30-ე წუთზე მარცხენა გარემარბმა აბრალავამ კარგად მოაწოდა ბურთი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ჯოპუამ — 1:1.

„ენგურს“ კარგახანს ეპყრა ინიციატივა და სპარტაკელები თითქმის მთელი გუნდით იცავდნენ თავს. ასევე მიმდინარეობდა თამაში მეორე ტაიმშიც, თუმცა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმრებმაც. საბოლოოდ, ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა — 1:1.

ბ. ალშიბაია.

- უპირატესობის მიუხედავად
- რევანში არ შედგა
- „ალაზანმა“ იმარჯვა

#### გორიდან...

პირველი წრის მატჩი კიროვაკანის „ლორისთან“ გორის „დილამ“ წააგო ანგარიშით 0:1 და მაყურებლები მოელოდნენ, რომ მათი გუნდი რევანშის აღების რწმენით გამოვიდოდა მინდორზე.

მაგრამ გორელმა ფეხბურთელებმა ვერ გამოავლინეს სათანადო ენერგია და სწრაფვა გამარჯვებისაკენ. მათ მეტისმეტად ნელ ტემპში, მონდომების გარეშე ჩაატარეს პირველი ტაიმი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რევაზიშვილის მიერ შექმნილ სახიფათო მომენტს, 45 წუთის განმავლობაში ბურთი არ მოსცილებია მინდვრის შუაგულს.

ორივე გუნდის თავდამსხმელთა უმოქმედობით აღინიშნა მეორე ტაიმიც. ის მცირე უპირატესობა, რომელიც „დილას“ ჰქონდა, არ გამოდგა საკმარისი გამარჯვებისთვის — 0:0.

გ. გოზალიშვილი.

#### გურჯაანიდან...

გურჯაანის „ალაზნის“ მეტოქე გუშინდელ მატჩში იყო ერევნის „არაქსი“.

მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში, თუმცა ალაზნელთა საერთო უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. გურჯაანელმა ფეხბურთელებმა მაინც შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარიშით 1:0.

მ. ვახტანგიშვილი.

## დღევანდელ ზეიმს მიეძღვნა

**ჩებოქსარი.** 157,8 კილომეტრი საათში — ასეთი საშუალო სიჩქარე აჩვენა დღეს რსფსრ-ს გემმოდელისტთა შეჯიბრებაზე მურომელი ინჟინრის პ. ნიკოლაევის მოდელმა. ნიკოლაევის „პირმშომ“ ორი რეკორდი გააუმჯობესა: 11,5 კმ-ით საათში საკავშირო და 3,8 კმ-ით საათში — ევროპისა, რომელიც იტალიელ მოლფატის ეკუთვნოდა. მურომელმა რეკორდსმენმა თავისი მიღწევა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიუძღვნა.

**ესენტუკი.** აქაური სპორტული ავიაკლუბის მფრინავმა-პლანერისტმა ვ. სლასტუხინმა სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა საბჭოთა პლანერ „პრიმორეცით“. მან 200 კმ იფრინა. წინა საკავშირო მიღწევა 1959 წელს იყო დამყარებული და 164 კმ-ს უდრიდა. ვ. სლასტუხინმა თავისი წარმატება სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიუძღვნა.

## სტარტზე — მშენებლები

სამშენებლო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის მეორე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდა 507 სპორტსმენი.

საინტერესოდ წარიმართა კალათბურთელთა ასპარეზობა. ქალთა გუნდებში მეორე ქვეჯგუფის ლიდერი რუსთავის № 1 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი მეტოქეებს მხოლოდ 1 და 2 ქულის უპირატესობით უსწრებდა. ფინალში რუსთავის კალათბურთელები შეხვდნენ „მთავართბილმშენის“ სპორტსმენებს. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 34:16.

იმავე ორგანიზაციების გუნდები გავიდნენ ვაჟთა ფინალში. ბრძოლა აქაც დაძაბულად მიმდინარეობდა. გამარჯვება კვლავ თბილისელებმა იზეიმეს — 67:55.

მოჭადრაკეთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის № 1 და ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტების გუნდები. შეჯიბრება მოიგეს რუსთაველებმა — 2,5:1,5.

მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრების ფინალური შეხვედრა მოეწყო „მთავართბილმშენისა“ და „საქმშენინდუსტრიის“ გუნდებს შორის. პირველი ადგილი დაისაკუთრეს „საქმშენინდუსტრიის“ მაგიდის ჩოგბურთელებმა.

ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა რუსთავის № 1 სამშენებლო ტრესტის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. ვაჟებში უძლიერესი აღმოჩნდა რუსთავის ცემენტის ქარხნის კალათბურთელთა კოლექტივი.

ვ. ბუკინი.



ველოსიპედისტები დისტანციაზე.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

## ქვეყნის ქალაქები

● **ლვოვი,** 30 ივლისი. ევროპის ჩემპიონატის წინ სსრ კავშირის ნაკრების წყალბურთელებმა აქ ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს ჰოლანდიის გუნდი. მატჩის ანგარიშია 6:4. ეს კარგი წვრთნა იყო საბჭოთა სპორტსმენებისთვის. როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატი გაიმართება ჰოლანდიაში.

● **ბერლინი,** 29 ივლისი. „ოლიმპიური იმედების“ ტურნირში საბჭოთა ჭაბუკმა მოკრივეებმა მოიპოვეს ოქროს 5, ვერცხლის — 1 და ბრინჯაოს — 2 მედალი. მასპინძლებს — გდრ-ის სპორტსმენებს აქვთ 3-3 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. შეჯიბრების ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ აღიარეს ასტრახანელი ბ. კუზნეცოვი, რომელიც მძიმე წონაში გამოდიოდა.

● **სკოპლე,** 29 ივლისი. 8 ქვეყნის ჭაბუკ კალათბურთელთა ტურნირზე სსრ კავშირის სპორტსმენებმა II ადგილი დაიკავეს. ფინალურ მატჩში ჩვენი ჭაბუკები დამარცხდნენ მასპინძლებთან — იუგოსლავიის ნაკრების სპორტსმენებთან 44:54 (16:24).

◆ **ბუდაპეშტი,** 30 ივლისი. ახალგაზრდა ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე სსრ კავშირის გოგონებმა ბოლო მატჩი მოუგეს პოლონელებს (3:0) და I ადგილი დაიკავეს. II ადგილზე გავიდნენ გდრ-ის ფრენბურთელები. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, იუგოსლავია, ჰოლანდია, თურქეთი, გფრ, ავსტრია.

◆ **სპლიტი** (იუგოსლავია), 30 ივლისი. აქ მიმდინარეობს გალევას თასის — ევროპის იუნიორ ჩოგბურთელთა არაოფიციალური ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრებები. სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ავსტრიისა და ლუქსემბურგის სპორტსმენების მონაწილეობით. შესარჩევ თამაშებში იუგოსლაველებმა მოუგეს ლუქსემბურგელებს (5:0), საბჭოთა ჩოგბურთელებმა (კოროტკოვი, ვოლკოვი და კაკულია) ასეთივე ანგარიშით სძლიეს ავსტრიელებს. შემდეგ, იუგოსლაველებმა დაამარცხეს ბულგარელები — 4:1 და ფინალში საბჭოთა ჩოგბურთელებს შეხვდებიან.

◆ **ლენინგრადი,** 30 ივლისი. აქ მიმდინარე ევროპის 16 ქვეყნის რკინიგზელ მძლეოსანთა ასპარეზობაში წარმატებით გამოდიან იტალიელები. ე. აძაროვ რკინიგზელთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში — 207 სმ. მისი თანამემამულე ჯ. კასინი პოლონელ თ. ცუხსა და ა. ანდრეევთან (სსრ კავშირი) დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა 100 მ რბენაში. სამივეს ერთნაირი დრო აქვს — 10,7. მედლების ყველაზე დიდი კოლექცია აქვს იაროსლაველ გ. კუზნეცოვას: ოქროს 2 (80 მ თარჯრბენში — 11,1 და 4×100 მ ესტაფეტაში) და ბრინჯაოს მედალი (სიგრძეზე ხტომაში).

◆ **ლოს-ანჯელოსი,** 30 ივლისი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 20 წლის დ. შოლანდერმა (აშშ) ადგილობრივ აუზში ასპარეზობისას გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 200 მ თავისუფალი ხტილით ცურვაში. მისი დროა 1.57,2.

◆ **ოსლო,** 30 ივლისი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენმა ლ. დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) ბადრო 68,04 მეტრზე ტყორცნა. მიმდინარე სეზონში ყოველ შეჯიბრებაზე დანეკი იშვიათი სტაბილურობით გამოირჩევა — იგი 60 მეტრს იქით გზავნის ბადროს. ნორვეგიელმა მძლეოსანმა ქალმა ბ. ბერტელსენმა სამჯერ გაიმარჯვა (100 და 400 მ რბენაში — 11,8 და 55,2 და სიგრძეზე ხტომაში — 623 სმ).

### სპორტული საათი...

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საკავშირო კატეგორიის მსაჯს გ. ქორქოლაძეს მისი მამის

**შალვა სევერიანის ძე ქორქოლაძის**

გარდაცვალების გამო.